სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №17-01-14

CPV - 50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები

ქ. თბილისი 09 იანვარი 2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი** (მის: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №48, ს/კ 404384974, სახაზინო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22, GE24NB0330100200165022, ტელ: 0322470014) შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბაიდარაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **სს „ჰიუნდაი საქართველო"**, (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, ს/კ 204478948, საბანკო რეკვიზიტები: ს/ს თი ბი სი ბანკი, ბანკის კოდი TBCBGE22, ა/ა GE15TB1100000110467697, ტელ: 2517799) შემდგომში „მიმწოდებელი", წარმოდგენილი დირექტორის **დავით გიორგობიანის** სახით სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ფონდის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის, HYUNDAI ELANTRA 1.6 A/T სახელმწიფო ნომრით NW-808-WN, ტექნიკური მომსახურება პრეისკურანტის შესაბამისად (დანართი N1).

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1000.00 (ერთი ათასი)** ლარს, რომელიც მოიცავს, როგორც შესასყიდი ობიექტის ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.3 პრეისკურანტის ღირებულებაა **10,340.00 (ათი ათას სამას ორმოცი)** ლარი.

2.4 შესყიდვის საფუძველი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლი მე-3 პუნქტის „თ" ქვეპუნტქი.

2.5 დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

2.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დასაშვებია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების მხოლოდ 10%-ის ოდენობით გაზრდა.

2.7 დაფინანსების წყარო - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის **2017 წლის საბიუჯეტო** სახსრები.

2.8 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 2018 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 28 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის კონკრეტული (ზეპირი ან წერილობითი) მოთხოვნიდან მომსახურების გაწევა უნდა დაიწყოს არაუმეტეს 1 (ერთი) სამუშაო დღეში.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-2 კილომეტრი.

3.3 შესასყიდი ობიექტის ხარისხი უნდა იყოს მაღალი და შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ სტანდარტებს.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად, დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების შეუფერხებლად ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაწიოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) დროულად და ხარისხიანად შეუკეთოს ავტომანქანა შემსყიდველს.

გ) ავტომობილების ტექნიკური მომსახურების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სწრაფცვეთადი ნაწილების შემთხვევაში 1 სამუშაო დღეს, სხვა ნაწილებზე სამუშაოს სირთულის მიხედვით არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეს. შესაკვეთი ნაწილების შემთხვევაში (თუ აღნიშნული შესაკვეთი ნაწილის შეძენა შეუძლებელია საქართველოს ბაზარზე) ტექნიკური მომსახურების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს.

დ) მიმწოდებელი ვალდებულია გააფრთხილოს შემსყიდველი, როდესაც მისთვის ხელმისაწვდომი გამოსაცვლელი დეტალი უხარისხო ან გამოუსადეგარია, ან არსებობს მისგან დამოუკიდებელი სხვა გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ნამუშევრის სიმტკიცეს ან/და ვარგისიანობას. თუ ასეთ შემთხვევაში შემსყიდველმა მაინც მოითხოვა ავტოტექნიკური მომსახურების გაწევა, მიმწოდებელი პასუხს არ აგებს ნამუშევრის ვარგისიანობასა და ხარისხზე.

ე) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) აწარმოოს ზედამხედველობა ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით მომსახურების მიმდინარეობაზე.

4.5 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) ავტოტექნიკური მომსახურების დასრულებისთანავე მოახდინონ ავტომანქანის ტესტირება.

ბ) ავტომანქანის ტესტირების შემდეგ, თუ შემსყიდველს არ გააჩნია პრეტენზია მომსახურების ხარისხზე, იგი ვალდებულია ჩაიბაროს შესაბამისი აქტით გაწეული მომსახურება.

გ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის ხარისხის კონტროლი.

5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე.

5.3 შესმყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩდება შესასყიდი ობიექტი უხარისხო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადაში შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტი ან თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტის მიწოდებას და შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ უხარისხო შესასყიდი ობიექტის ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია დააბრუნოს აღნიშნული უხარისხო ობიექტის ღირებულება.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა საჭირო მომსახურებით. თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით და ბეჭდით.

6.3 შესასყიდი ობიექტის მიღებას აწარმოებს ფონდის უფლებამოსილი პირი.

6.4 თუ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი დაემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლოა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასრული თანმხლები დოკუმენტაციის მქონე შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ვალუტაა ქართული ლარი.

7.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

7.4 თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება გადახდის ვადის გადაცილებად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, თავიანთი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8.2 თითოეული მხარე უფლებამოსილია მეორე მხარის მიზეზით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების (მათ შორის ეტაპობრივი) დარღვევის შემთხვევაში, დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ს.

8.3 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩამოერთმევა სრულად.

8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას გადაწყვეტილების გაცნობიდან (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

8.5 მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საერთო სასამართლოს.

8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა თუ დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ნორმატიული და

კანონქვემდებარე აქტებით ან/და სხვა განსაკუთრებული გარემოებებით, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ მისი მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10. სხვა პირობები (ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა)

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

10.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, მისი მიღებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

10.3 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;

ბ) მიწოდების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

გ) თუ შემსყიდველი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10.4 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.5 წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

10.6 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან.

11. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი

ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

დირექტორი

გიორგი ბაიდარაშვილი

მიმწოდებელი

სს „ჰიუნდაი საქართველო"

დირექტორი

დავით გიორგობიანი

HYUNDAI ELANTRA 1.6 (ავტომატური გადაცემათა კოლოფი)

	სათადარიგო ნაწილი / საცხებ-საპოხი მასალა მომსახურება	განზომილების ერთეული	ნაწილის ფასი ლარი	მომსახურების ფასი ლარი
1	წინა ასამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	230	15
2	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	170	15
3	ხელის მუხრუჭის ბაგირი	ცალი	140	40
4	წინა ამორტიზატორი	ცალი	305	40
5	უკანა ამორტიზატორი	ცალი	260	30
6	წინა ამორტიზატორის ბალიში	ცალი	100	30
7	უკანა ამორტიზატორის ბალიში	ცალი	70	25
8	წინა ამორტიზატორის ზამბარა	ცალი	147	35
9	უკანა ამორტიზატორის ზამბარა	ცალი	155	30
10	წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი)	ცალი	65	40
11	უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი)	ცალი	75	30
12	წინა ამორტიზატორის საკისარი	ცალი	85	35
13	წინა ამორტიზატორის სამტვერული	ცალი	16	40
14	უკანა ამორტიზატორის სამტვერული	ცალი	15	30
15	საჭის ღერძი (კოლონკა)	ცალი	1080	150
16	საჭის ღერძის ბორბალი (შტურვალი)	ცალი	405	50
17	საჭის ღერძის დაბოლოება (ნაკანეჩნიკი)	ცალი	80	15
18	საჭის ღერძის წევა (უდარნი ტიაგა)	ცალი	90	15
19	წინა დაკიდების ბერკეტი (გიტარა)	ცალი	365	30
20	დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი	ცალი	50	30
21	დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა	ცალი	45	30
22	ბურთულოვანი სახსარი (შარავოი)	ცალი	85	25
23	ტრავერსის მილისა	ცალი	45	50
24	წინა სამუხრუჭე დისკო	ცალი	250	20

25	უკანა სამუხრუჭე დისკო	ცალი	302	35
26	წინა მორგვი საკისარით	ცალი	355	50
27	უკანა მორგვი საკისარით	ცალი	430	50
28	მორგვის ჭანჭიკი (ბოლტი)	ცალი	6	40
29	საბურავის სამაგრი ქანჩი (გაიკა)	ცალი	6	5
30	ყუმბარა ერთი მხარე (გარეთა შიგნითა)	კომპლექტი	950	40
31	ყუმბარა შიდა მხარე	ცალი	448	50
32	გარეთა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი)	ცალი	100	40
33	შიგნითა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი)	ცალი	95	50
34	მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა	ცალი	12	15
35	მშრალი ამორტიზატორის მჭიდი	ცალი	7	10
36	წინა ღერო (სტერჟინი)	ცალი	85	15
37	ჰაერის ფილტრი	ცალი	40	–
38	ზეთის ფილტრი	ცალი	20	–
39	საწვავის ფილტრი	ცალი	100	50
40	საწვავის ტუმბო	ცალი	387	50
41	კონდეციონერის (სალონის) ფილტრი	ცალი	75	10
42	სანთელი (სვეჩა)	ცალი	21	5
43	დინამოს ღვედი	ცალი	100	50
44	დინამოს ღვედის გორგოლაჭი	ცალი	70	50
45	საყვირი	ცალი	60	15
46	საქარე მინის საწმენდი	ცალი	55	5
47	ჰალოგენის ნათურა	ცალი	55	10
48	წინა ფარის ნათურა	ცალი	30	5
49	გაბარიტის ნათურა	ცალი	5	5
50	უკანა სტოპ ნათურა	ცალი	15	5
51	ძრავის ზეთი (სინთეტიკა)	1 ლიტრი	25	–
52	ავტომატური გადაცემათა კოლოფის ზეთი	1 ლიტრი	25	–
53	სამუხრუჭე სითხე	1 ლიტრი	75	–

54	ანტიფრიზი	1 ლიტრი	15	–
55	ყინვაგამძლე სითხე	1 ლიტრი	15	–
56	კონდიციონერის ფრეონი	100 გრ	13	–
57	დროსელის საწმენდი სითხე	ცალი (1 ბალონი)	30	–
58	სალონის რეზინის ფეხსაგები	კომპლექტი	110	–
59	ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა	კომპლექტი	–	15
60	ავტომატურ გადაცემათა კოლოფიში ზეთის შეცვლა	კომპლექტი	–	30
61	სამუხრუჭე სითხის შეცვლა	კომპლექტი	–	45
62	ანტიფრიზის შეცვლა	კომპლექტი	–	20
63	კონდიციონერიში ფრეონის ჩატუმბვა	კომპლექტი	–	30
64	დროსელის გაწმენდა	კომპლექტი	–	30
65	საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება	ცალი	–	15
66	განშლა (წინა თვლები)	კომლექტი	–	40
67	ნახარის გასწორება (უკანა თვლები)	კომპლექტი	–	140
68	სამუხრუჭე სითხის დამატება		–	–
69	ანტიფრიზის დამატება		–	–
			8465	1875
			სულ:	10340

ს.ს " ჰიუნდაი ავტო საქართველო" -ს
სერვისის დირექტორი

ა.ხვედელიძე

ს.ს. "ჰიუნდაი ავტო საქართველო"
JSC "HYUNDAI AVTO GEORGIA"
204478948